№ 64. 25 მარტი, პარასკევი. 1866—1883 25 მარტი, პარასკევი. № 64.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელ წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსი თვისა . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი; პატარა ასოებით ასოზე ნახევარი კაპეიკი, სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

**თავადი გიორგი ილიას-ძე ორბელიანი**, გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ აწ უკვე გარდაცვალებულის, სახელმწიფო რჩევის წევრის, გენერალ-ადიუტანტის, გენერალის-ინფანტერიის, **თავადის გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანისა** გამოსვენება იქმნება შაბათს, 26 მარტს, დილის 10 საათზე, საკუთარის სახლიდამ ანჩისხატის ეკკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნება წირვა და წესის-გება. დასაფლავება განსვენებულისა იქმნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

## დღიური

**ხელმწიფე იმპერატორის** ტელეგრამმა, რომელიც მიიღო თ. ლ. ი. მელიქოვმა:

„მოგმართავთ თქვენ თხოვნით, გარდასცეთ თ. გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანის სახლობას ჩემი გულითადი მწუხარება მათი საგრძნობის დაკლებისათვის; ღრმად ვმწუხარებ ესრეთას კეთილ-შობილის და პატივ-საცემი პირის სიკვდილით.

**ალექსანდრე.**

* * *

რადგან დღევანდელი უქმის გამოხვალ, შაბათს გაზეთი არ გამოვა, ამისათვის ჩვენი დიდებული პოეტის დასაფლავების თავდარიგი მოგვყავს დღევანდელს ნომერში. შეიძლება ამ მოხსენებულს თავდარიგში რაიმე ცვლილება მოხდეს, მაგრამ საზოგადო წესი და დაწყობილებანი მაინც ერთი და იგივე დარჩება.

მიცვალებულს წაასვენებენ შემდეგის გზით: მადათოვის ქუჩით, ბარიატინსკის ქუჩით, გოლოვინის პროსპექტით, სასახლის ქუჩით, ერევნის მოედნით, შუა ბაზრით, პრიკაზის ქუჩით, ეგზარხის მოედნით და ანჩისხატის ქუჩით.

მიცვალებულს უწინარეს წარუძღვება ცხენოსანი ჟანდარმის კამანდა; ამას მიჰყვებიან გვირგვინები და დეპუტაციები: ტფილისის მუშა ხალხისა, სტამბებისა, სახელოსნო სასწავლებელისა, ქუთაისის თავად-აზნაურთა სასწავლებლისა, ტფილისის თავად-აზნაურთა სასწავლებლისა, ტფილისის რეალურის სასწავლებელისა, საქალებო და სავაჟო გიმნაზიებისა, საქალებო და საოსტატო ინსტიტუტისა; რედაქციებისა: „შრომისა“, „ივერიისა“, „დროებისა“. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა, წითელის ჯვრისა, მხედართა და თავადაზნაურთა. ამათ მიჰყვება განსვენებულის ორდენები, მას შემდეგ სასულიერო წოდება, მერე განსვენებულის ცხედარი, რომელსაც ხელით წაასვენებენ; ცხედრის შემდეგ განსვენებულის ნათესაობა, თავად-აზნაურობა, გენერლობა, სამოქალაქო და სამხედრო პირნი, ქალაქის წარმომადგენლები და ქალები.

მათ შემდეგ ამქრების წარმომადგენლები ბაირაღებით, რომლებსაც ათ-ათი კაცი მიჰყვება ყოვლის ამქრისა, სოფლის წარმომადგენლები, მუსიკა და ჯარი.

ჯარს შეადგენენ: ტფილისის კადეტის კორპუსი, იუნკრების სასწავლებელი, თითო ბატალიონი ტფილისის და სამეგრელოს პოლკებისა, არტილერია ექვსის ზარბაზნითა, სოტნა მთიელ-სარდლის ცხენოსანის კამანდისა და სოტნა ხოპერის პოლკისა. გასვენების დროს არტილერია მიაცილებს ერევნის მოედნამდის და შემდეგ გაუხვევს არსენალისკენ, სადაც უნდა დასცალონ ზარბაზნები, როდესაც მიცვალებულის საფლავში ჩასვენების ნიშანს მისცემენ.

იმ ურიცხვთ ტელეგრამმათ შორის, რომელნიც მიუღიათ განსვენებულის პოეტის მემკვიდრეთა, ზოგიერთს დღევანდელს ნომერში ვბეჭდავთ:

ტელეგრამმა პეტერბურღის ქართველთ მოსწავლეთა: თავად გიორგი ილიას-ძეს ორბელიანს.

„ქართველი მოსწავლე ყმაწვილ-კაცობა გულითადის მწუხარებას აღიარებს ნიჭით აღსავსე დაუვიწყარის პოეტის, თ. გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანისმიცვალების გამო“.

ტელეგრამმა ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლისა:

„ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო სკოლა თვისის წარმომადგენლებით ულრმესს მწუხარებას აცხადებს ძვირფასის პოეტის გრიგოლ ორბელიანის გარდაცვალების გამო“.

ტელეგრამმა გორის საოსტატო სემინარიისა:

„გორის საოსტატო სემინარიის მოსწავლე-ქართველნი უნუგეშოდ მწუხარებენ საყვარელის ქართველის პოეტის გარდაცვალებისა გამო და ყოვლად შემძლებელს ვედრიან, საუკუნო ხსენება მიანიჭოს ჭეშმარიტ ქრისტიანს, სიყვარულით აღსავსე ადამიანს და სახელოვან მოქალაქეს“.

ტელეგრამმა ქუთაისის საქალებო გიმნაზიისა:

„გთხოვთ მიიღოთ ულრმესი ჩვენი მწუხარება იმ უბედურებისთვის, რომელიც გვეწია დაუვიწყარის პოეტის გარდაცვალებით“!

* * *

ტფილისის სამეშჩანო გამგეობა აცხადებს, რომ რადგან აწ გარდაცვალებულის გენ.-ადიუტანტის თ. გრიგოლ ორბელიანის დამარხვა იქმნება შაბათს 26 მარტს, ამისათვის ამ დღისათვის დანიშნული ამორჩევანი დეპუტატთა მე-4 და 5 უბნისა ქ. ტფილისისა გადაიდვა ამა მარტის თვის 30 რიცხვისათვის. გამგეობა დღეს, 25 მარტს იწვევს ყველა მეშჩანებს ქალაქისა, მობრძანდენ ნაშუადღევის 4½ საათ. განსვენებულის სახლში პანაშვიდზე დასასწრებად, და 26-ს შაბათს დილის 8 საათ.—გამგეობის სადგომში.

* * *

თიანეთიდამ გვწერენ, რომ ჩვენ, თიანეთლების ბედს ძაღლიც არ დაჰყეფსო; პოლიცია ერთობ გულ-გრილად გვეკიდებაო. ჩვენი ახალი მაზრის უფროსი ჯერ არ მოსულაო და ჩვენ მდგომარეობა გვაგონებს ანდაზას: „უპატრონო ეკკლესიას ეშმაკები დაეპატრონენო“. ეკკლესია მომაგონდაო, იწერება კორრესპონდენტი, და ესეც უნდა მოგახსენოთ—ერთობ დაგვიძველდა ჩვენი ეკკლესიაო და არც მას აქცევენ ყურადღებასაო.

* * *

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდად შემდეგი შენიშვნა:

„როგორც გაზეთებმა შეგვატყობინეს...

---

## «დროების» ფელეტონი, 25 მარტს

### სამართალს ვეძიებ!

(თარგმანი*)

დურგლის დაბრუნება მოედო მთელს უბანს. ზოგნი ამბობდენ, რომ მაგას ბრალი არა ჰქონდა, ისინი ადრეც დარწმუნებული იყვნენ, ზოგნი კი იჭვნეულობდენ, რომ თუ ბრალი არა ჰქონდა, ასე დიდ-ხანს რად ჰყვანდათ დატუსაღებულიო.

როდესაც რიმერი პირველად გამოჩნდა თავის ტოლ-ამხანაგებში შეამჩნია, რომ იმას ისე ძმურად აღარ უყურებენ, როგორც ადრე. ზოგი გზას აუცილებდა და თავს იშორებდა, ზოგს ვისაც დაელაპარაკებოდა აშკარად მიუნდობლობას უსვენებთენ და იმის საუკეთესო მეგობრებიც კი ცივად ეკიდებოდენ.... სიბრაზით სისხლი თავში აუვარდა....

რიმერი მოჭმუხვნილი სახით შინ დაბრუნდა; ცოლი რაც კი შეეძლო, ცდილობდა ნუგეში ეცა და თან თავისთვის ფიქრობდა: განა იმათ რა ესმით, რომ უსინიდისოდ ექცევიან. ხომ შესაძლოა მაგისთანა უბედურება ყველას გადახდეს, ან რა სირცხვილია, კაცი რომ სხვის მაგივრად დაიტანჯოს. ნუ თუ ძნელი გასაგებია ესა!

— არა, სთქვა რიმერმა გადაწყვიტით, ისინი მე აგრე მალე არ დამიჯერებენ და ვერ გაარჩევენ თეთრსა და შავს. უნდა სასამართლომ მომცემს ბეჭედ დასმული ქაღალდი, რომ მე არაფრის ბრალი არა მაქვს. მე ვუჩვენებ იმათ ამ ქაღალდს და მაშინ დარწმუნდებიან, რომ უბიწო ვარ, სხვა გზა არ არი.—ამას იქით ველარ მოესვენა, სანამ საქმე არ გამოაშკარდებოდა. ერთი არზების დამწერის მცოდნე გამოუჩნდა და იმის შემწეობით მოამზადა სასამართლოში მისართმევი არზა, რაშიაც გამოყვანილი იყო ის ვნება, რაც ამას დატუსაღების გამო დაატყდა და ითხოვდა, რითიც კი შეიძლებოდა, ცოტათი მაინც უზღონ ზარალი. ბოლოს თავის ხელით დაუმატა შემდეგი სიტყვები:

„რადგან ბევრს არა სჯერა ჩემი სიმართლე და ჰგონიათ, რომ გასამტყუნებელი საბუთი ვერ იპოვეს და იმიტომ გამომიშვეს საპრობილედამ, ამიტომ ვსთხოვ სასამართლოს მომცეს მოწმობის წერილი, რომ მე არაფერში ბრალი არა მაქვს და პირ-ნათელი ვარ ამ საქმეში, როგორც ყოველი პატიოსანი და თავისუფალი კაცი“.

სასამართლოდამ პასუხი დიდხანს არ მოსდიოდა. თავის მოუთმენლობის ჩასაჩუმებლად, რიმერი თუმცა არ იჭვნეულობდა საქმის კეთილად დაბოლოებას, მაინც-და-მაინც და ისევ ადრინდელი მუშტრების შემწეობით ცდილობდა საქმე გაეჩინა და სახელოსნო გაემართა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ იმათ მხრივ მიუნდობლობაც რომ არ იყოს, მაინც უიარაღოდ და უმასალოდ ვერას გააწყობდა. ამპარტავნობა კი ნებას არ აძლევდა სხვასთან სამუშაოდ წასულიყო. ამის გამო დიდი გაჭირებით ირჩენდენ თავს, მხოლოდ ორიოდ გროში შემოჰქონდა ოჯახში ცოლს, რომელიც ეხლა უფრო მხნედ შესდგომოდა მუშაობას.

დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ სასამართლოდამ პასუხი მოუვიდა. არზის შემტანს უცხადებდენ იმის თხოვნის უსაფუძვლობას, რადგან დატუსაღებულს, თუნდ რომ უსამართლო იჭვის აღებითაც, უფლება არა აქვსო

*) იხ. „დროება“, № 63.

ნა და ჩვენც ნამდვილად ვიცით ახალი ეგზარხოსის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის პავლეს თაოსნობით იბეჭდება ქართულს ენაზედ მხედრულის ასოებით დაბადება. ეს ამბავი ფრიად მოსაწონი არის ყველა ქრისტიან ქართველთათვის, მაგრამ ერთი კი უნდა აღვიაროთ, რომ ერთობ მცირე რიცხვი იბეჭდება ამ დაბადებისა—ათას ორასი ეგზემპლიარი.

იმერეთის ეპისკოპოსმა გაბრიელმა, როგორც ნამდვილად ვიცით, მოითხოვა თვისის ეპარქიის ეკკლესიებისათვის და სამღვდელოებისათვის რვაასი ეგზემპლიარი დაბადებისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ექვსასი იქნება საჭირო კიდევ საერო წოდების პირთათვის მუთ. გუბერნიაში გარდა გურიის ეპარქიის სამღვდელო და საერო პირთა და ეკკლესიათა. ამდენივე, მეტი თუ არა, საჭირო იქნება ტფილისის გუბერნიის ეკკლესიათა და ხალხთათვის. მაშასადამე დაბადება უნდა დაიბეჭდოს არა ათას ორასი ეგზემპლიარი, არამედ ორი ათასზე მეტი. მაშინ მისი ფასი ხუთ მანეთზე ნაკლებიც შეიძლება დაინიშნოს (ეს ფასი იქნებაო დაბადების.) ამისთანა შეცდომა ხშირად ხდება ხოლმე საეკლესიო წიგნების დაბეჭდვის დროს. დაიბეჭდება მცირე რომელიმე საეკკლესიო წიგნი; ფასი ეღირება დიდი და ხუთ-ექვს წელს იქით ხელახლა საჭირო ხდება წიგნის დაბეჭდვა. ამაზედ ყურადღება უნდა მიაქციონ, ვისიც რიგია, და ააცილონ ეკკლესიები და საზოგადოება უბრალო და უსარგებლო ხარჯს.

# ტელეგრამმა

(„ნორდილოგთ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

## რუსეთიდამ

23 მარტს

პეტერბურღი. 20 მარტს მათი უდიდებულესობანი ხელმწიფე იმპერატორი და იმპერატრიცა ჩამობრძანდენ პეტერბურღს და დაესწრენ კონცერტზე ინვალიდების სასარგებლოდ.

საფოსტო დეპარტამენტის განკარგულებით დიდს უქმეებში სრულიად არ იქმნება გაცემა და მიღება კორრესპონდენციებისა, დანარჩენ უქმეებში და კვირა დღეობით პეტერბურღის საფოსტო კანტორაში—12 საათამდის და სამაზრო კანტორებში, განყოფილებებში და სტანციებში—11-დის დილის.

კასპიის იქითა მხრის უფროსად დანიშნულია გენერალ-ლეიტენანტი კამაროვი, გენერალ-ლეიტენანტის რერბერგის მაგივრად, რომელიც დაინიშნა მე-25 ქვეითა დივიზიის უფროსად.

ხელმწიფის გვირგვინის კურთხევის დღეს დაბალი ჩინები (სალდათები), რომელთ რიცხვი ორმოც-და-ხუთმეტი ათასი იქმნება მოსკოვში, მიიღებენ სახსოვრად განგებ ამ შემთხვევისათვის მოჭრილს ვერცხლის მანეთს; დაბალი ჩინებისა, კადეტებისა და იუნკრებისათვის გამართულ იქმნება სადილი. გვირგვინის კურთხევაზედ მოსკოვში გაიგზავნება ოც-და-სამი ოქროს ეკიპაჟი.

სახელმწიფო რჩევაში წარდგენილია პროექტები ახალის სავექსილო წესდებისა და ქალაქის უძრავ მამულების გადასახადის გადიდებისა.

28 მარტს სენატში დანიშნულია საქმე ჩვიდმეტ პოლიტიკურ დამნაშავეთა, რომელთ რიცხვშია აზნაური ბოგდანოვიჩი (კობოზევი), მღვდლის სტეფანოვიჩის შვილი, ლეიტენანტი ბუცევიჩი და ექიმი პრიბილევი; დამნაშავეთა რიცხვში ურევია შვიდი ქალი. საქმე იწარმოებს საზოგადოების დაუსწრებლივ.

## სამზღვარ-გარეთიდამ

23 მარტს

მადრიდი. ისპანიის კოროლის წარმომადგენელად გვირგვინის კურთხევაზედ იქმნება ჭერცოგი მონპანსიე.

კოპენჰაგენი. აქ მოხდა ნემეცის სოციალისტების საიდუმლო კრება, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა გერმანიის პარლამენტის ათმა წევრმა. გადასწყვიტეს იბრძოლონ კაპიტალისა და ბისმარკის სახელმწიფო სოციალიზმის წინაამდეგ, მხოლოდ არ იხმარონ-კი რევოლიუციური ზომები. ამათ მოუგიდათ ადრესები საფრანგეთის და რუსეთის სოციალისტებისაგან.

## კერძო საავადმყოფო

კუკიაში, ხემიონოვის ქუჩა, ახვერდოვის სახლი.

ავადმყოფებს მუდამ დღე მიიღებენ.

დილით: 9 საათიდამ $10^1/_2$-მდინ ნავასარტიანც—ხირურგიულ და ვენერიულ ავადმყოფისა და რუდკოვსკი—ქალის, ემაწვილის და შინაგან ავადმყოფ.; $10^1/_2$ საათიდამ 12 საათ. შახ-აზიზ—შინაგან ავადმყოფობისათვის. 12 საათიდამ 1 საათ. თვალის ავადმყოფ. ლარიონოვი მუდამ დღე კვირასა და ოთხშაბათს გარდა, და რეიხი ოთხშ. და კვირას.

საღამოს: 5 საათიდამ 7-მდინ უშაკოვი—ემაწვილების და ყელის ავადმყოფობ. სამშაბათობით, ხუთშაბ. და შაბათობით. ნერვების, ფსიხიურ ავადმყოფ. და ელექტრო-ტერაპიისა—არუთინოვი მუდამ დღე და კონსულტანტად ბაგაევი სამშაბათობით და შაბათობით. საზოგადო კონსულტაცია ექიმებისა სამშ.-შაბათობით საღამოს 7 საათ. 8-მდინ. მუდამი კრავატები.

ფასი რჩევისათვის—50 კაპ., კონსულტაციისა—3 მან. ღარიბებს უფასოდ.

საავადმყოფოს დირექტორი

ექ. ნოვოსარტიანცი.

(თვით საავადმყოფოში დგას).

საავადმყოფოში ამ მოკლე ხანში გაიხსნება წყლით საექიმო განყოფილება ექ. ტელიაფუსის ხელმძღვანელობით.


# განცხადებანი

ქართული დრამატიული საზოგადოების მართველობა ამით აცხადებს რომ, შედგენა დრამატიულის დასისა და გამგეობა ტფილისში ქართულის თეატრის საქმისა მიიღო თვითონ მართველობამ, და ამისათვის მოიწვევს მათ, ვისაც ჭსურს შემოსვლა ქართულს თეატრის დასში, თავისის პირობებით მიჭმართონ ტფილისს, ან მმართველობის მიერ მინდობილ პირს, თავ. ილია გრიგოლის-ძეს ჭავჭავაძეს, ან მართველობის სეკრეტარს კონსტანტინე დიმიტრის-ძეს ყიფიანს.

საზოგადოების მართველობის თავსმჯდომარე თ. დავ. ავალიშვილი.

მართველობის სეკრეტარი. კ. ყიფიანი.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს. 1) დაფასებითი გადასახადი უძრავ მამულებთაგან შემოტანილ უნდა იქმეს გამგეობაში ამას კასირის კვიტანციის ქვეშ. 2) გამგეობის აგენტებს მინდობილი აქვსთ მიღება და წარმოდგენა გამგეობაში დაფასებითა გადასახადებისა, მხოლოდ ამ შემთხვევაში, როცა ნედოიმკის შემოუტანლობის გამო რომელიმე მამულებზე დადებულია სეკვესტრი დაწესებულის რიგით. (3—2)

## მმართველობა გორის მაზრის მომხმარებელთა საზოგადოებისა

ბ. წევრთ მობრძანდნენ ქ. გორში, ქალაქის სამმართველოს ზალაში 27 ამა მარტისას დილის 10 საათზე მოსასმენლად: 1882 წლის ვაჭრობის ანგარიშისა, აღსარჩევლად საბჭოს და სამმართველოისა წევრთა, რადგანაც ორი სამმართველოის წევრთაგანნი § 65 ძალით უნდა წილის-ყრით დათხოვნილ იქმნენ.

# ძიძა

ქართველი ძიძა ეძებს ადგილს. ადრესი: კირპიჩნი ქუჩა, თაქთაქოვის სახლების მახლობლად, იოსებ გოგინაშვილთან იკითხეთ ელისაბედ ქავთარაძისა.


მოსთხოვოს სასამართლოს თავის ზარალის გადახდა. მხოლოდ ამას სასამართლოს ხარჯს არ გადაახდევინებენო. რაც შეეხება მოწმობის წერილის თხოვნას იმის სიმართლეზედ ის გაიგზავნაო, უთხლიდენ, მინისტრების რჩევაშიო. რიმერს ხელი უკანკალებდა სანამ წაიკითხავდა. საშინელი წყევლით გადისროლა ქაღალდი.

— როგორ! ღრიალებდა რიმერი,— მაშ მე უფლება არა მაქვს? მაშ ვინც გაალატაკეს და უძლური გახადეს იმას სამართალი პასუხს არ გასცემს? მაშ ვისაც უნდა დაიჭირონ, საპყრობილეში ჩააგდებენ, მერე გაანთავისუფლებენ და ეტყვიან: „არა გბრალდებარა, თავისუფალი ხარ; მაგრამ უფლება კი არა გაქვს მოითხოვო, რომ გიზღონ, რაც ზარალი მოგცეს, თუნდ სახლკარი გაგინადგურონ და ავადმყოფი გაგხადონ. „განა ქვეყანაზე სამართალი არ მოიპოვება? ეხლა კი მესმის, შევიტყე, რაშია საქმე: მსაჯულს არაფრად მოეწონა ჩემი განთავისუფლება და მოინდომა შურის გება. განა არა, იმიტომაც ესე იწერება სასამართლო ხარჯზე. ჰა, ჰა, ჰა! ერთი ეგლა მაკლია, რომ რაც ფული დაიხარჯა მაგ საქმეზე მე გადამახდევინონ. არა, მე უნდა სამართალი ვეძიო, უნდა საჩივარი სხვაგან შევიტანო, თუნდ მინისტრთანაც მომიხდეს წასვლა, იქაც წავალ და სამართალს კი ვიპოვი!“

რიმერმა ხელ-ახლად მიჰმართა არზების დამწერს და საჩივარი მოამზადებინა ეხლა სხვა უფროსს მსაჯულებთან. საბრალო მწუხარე სიტყვებით აცნობებდა თავის უნუგეშო მდგომარეობას და მწარედ უჩიოდა მსაჯულების გამოძიებას და გადაწყვეტილებას. რიმერს მალე მოუვიდა პასუხი, აქ იყო მოწმობის წერილიც ამის სიმართლისა. წერილში მოხსენებული იყო, რომ გამოძიება შეაყენეს, რადგან სხვა კაცი გამოჩნდა, რომელმაც სიკვდილის წინედ აღვიარა თავისი დანაშაულობა. რასაკვირველია ამ მოწმობამ არ დააკმაყოფილა რიმერი, არამედ უფრო ზაფრა აუშალა. იმაში უნდა მოეხსენიათ, თუ უცბად რად დაატუსაღეს და რომ ეს პატიოსანი და უბიწო კაცია. გაბრაზებულმა მოწმობა უკანვე დაუბრუნა.

საჩივრის პასუხიც მალე მოუვიდა. უმართებულო და მკვახე სიტყვების დამწერს ჰკიცხავდენ და უთვლიდენ, თუ რომ გაბედავს და საჩივარს გაამეორებს, ჯარიმა გადახდება. განჩინება კი სამართლიანად გადაჭრილი იცნეს.

რიმერი გაშტერებით დასცქეროდა ქაღალდს, თითქოს იქიდამ ამოიკითხა თავის სიკვდილით დასჯა. განჩხლებულმა ხმა-მაღლივ მწარედ ამოიოხრა.

— მაშ სამართალი არ არი იმისთვის, ვისაც ბრალი არა აქვს-რა?— დაიყვირა იმან.—მაშ მე შეძლებაც და პატიოსანი, სახელიც უნდა დავკარგო, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემზე უსამართლოდ იჭვი აიღეს. ეხლა თითონ მინისტრთან წავალ, იმას მოვთხოვ სამართალს. მართებლობამ წამართვა პატიოსანი კაცის სახელი და იმანვე უნდა დამიბრუნოს!

(დასასრული შემდეგში)